2018 წლის 14-16 სექტემბერს გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია „ტერმინოლოგია - მემკვიდრეობა და თანამედროვეობა“. წარმოდგენილი იყო მოხსენებები სხვადასხვა დარგის, კერძოდ, მათემატიკის, გეოლოგიის, არქიტექტურის, სამშენებლო, სამედიცინო, მეტალურგიის, ავიაციის, იურიდიული, ბოტანიკური და ფეხბურთის ქართული ტერმინოლოგიის შესახებ. განხილული იყო ტერმინოლოგიის ისტორიის ზოგადი და კერძო საკითხები. გარდა ამისა, ერთი სექცია მიეძღვნა თარგმნითი ლექსიკოგრაფიის საკითხებს, კერძოდ, წარმოდგენილი იყო მოხსენებები ქართულ-სლოვაკური, ქართულ-გერმანული, ქართულ-სპარსული, ქართულ-რუსული და ქართულ-კავკასიური ლექსიკოგრაფიული პრობლემების შესახებ.

პლენარული სხდომა მიეძღვნა ცნობილი ტერმინოლოგის - ინგა ჯიბუტის - 80 წლის იუბილეს. სახელმწიფო ენის დეპარტამენტმა ქალბატონ ინგა ჯიბუტს გადასცა საგანგებო მადლობის სიგელი „ქართული ტერმინთშემოქმედების განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის“.

პლენარულ სხდომაზე საანგარიშო მოხსენებები წარმოადგინეს ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო ტერმინოლოგიისა და თარგმნითი ლექსიკონების განყოფილების თანამშრომლებმა. განხილული იყო **ქართული ტერმინთბანკის** შექმნის მეთოდიკა.

კონფერენციაში მონაწილეობას იღებდნენ უცხოელი ტერმინოლოგები. საგანგებოდ მოწვეულნი იყვნენ ევროპის ტერმინოლოგიის ასოციაციის პრეზიდენტი ჰენრიკ ნილსონი (https://eaft-aet.net/en/officers/) და ლიეტუვის ენის ინსტიტუტის დირექტორი და „ინფოტერმის“ ყოფილი პრეზიდენტი ალბინა აუკსორიუტე.

მრგვალ მაგიდაზე, რომელიც ტერმინოლოგიური მართვის საკითხებს ეხებოდა, ქართველ მეცნიერებთან ერთად მონაწილეობდა საგანგებოდ მოწვეული სტუმარი - ხუან კარლოს დიაზ ვასკეზი („ინფოტერმის“ ვიცეპრეზიდენტი). მრგვალ მაგიდას უძღვებოდა ჰენრიკ ნილსონი.

1918-2018
100
UNIVERSITAS TPHILISENSIS
1918

საქართველოში გამართულ ტერმინოლოგიის პირველ საერთაშორისო კონფერენციას გამოეხმაურა ევროპის ტერმინოლოგიის ასოციაცია (EAFT):

„ევროპის ტერმინოლოგიის ასოციაცია საქართველოს ეწვია!

საქართველოში გამართულ ტერმინოლოგიის პირველ საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა (14-16 სექტემბერი, 2018 წ.), მოიწვიეს ევროპის ტერმინოლოგიის ასოციაციის პრეზიდენტი ჰენრიკ ნილსონი. კონფერენცია, სახელწოდებით „ტერმინოლოგია - მემკვიდრეობა და თანამედროვეობა“, შთამბეჭდავი ღონისძიება იყო: პარალელურ სექციებში სხდვადასხვა დარგის ქართული ტერმინოლოგიის საკითხები განიხილებოდა. მოიხსენებები წაიკითხეს მონაწილეებმა ლატვიიდან, ლიეტუვიდან, პოლონეთიდან, რუსეთიდან, ტაილანდიდან და კოლუმბიიდან; ალბინა აუკსორიუტემ (ინფოტერმის ყოფილმა პრეზიდენტმა) და ხუან კარლოს დიაზ ვასკეზმა (ინფოტერმის ვიცეპრეზიდენტმა) მონაწილეობა მიიღეს მრგვალი მაგიდის მსჯელობაში ტერმინოლოგური მართვის შესახებ.

საქართველოში ტერმინოლოგიურ მუშაობას დიდი და ხანგრძლივი ისტორია აქვს - ის ძველი სასულიერო ტექსტებიდან იღებს სათავეს.

2013 წლიდან იმართება ყოველწლიური ადგილობრივი კონფერენცია; კონფერენციის მასალები იბეჭდება ჟურნალ „ტერმინოლოგიის საკითხებში“.

2018 წელს დაიბეჭდა არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომლების, კონფერენციის ორგანიზატორების - ლია ქაროსანიძისა და ანა ხურცილავას - წიგნი „ქართული ტერმინოლოგიის პრობლემები“ (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი).

ჰენრიკ ნილსონი შეხვდა ვუკოლ ბერიძის სახელობის ტერმინოლოგიის ახლად დაარსებული ასოციაციის წევრებს. საქართველოს ტერმინოლოგთა ასოციაცია უკვე ევროპის ტერმინოლოგიის ასოციაციის წევრია. შეხვედრაზე განიხილეს ტერმინოლოგიაში არსებული პრობლემები, მათი გადაჭრის საშუალებები და დასახეს

თანამშრომლობის გზები. ჰენრიკ ნილსონი ასევე ეწვია სახელმწიფო ენის დეპარტამენტს. გარდა ამისა, მისცა ინტერვიუ პრესის წარმომადგენლებს და მონაწილობა მიიღო დილის სატელევიზიო გადაცემაში ციცინო გაბესკირიასთან ერთად, რომელიც მათემატიკის ტერმინოლოგიაზე მუშაობს.

კონფერენციას არაფორმალური ნაწილიც ახლდა: სტუმრებმა დაათვალიერეს ქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილები, გაეცნენ ქვეყნის კულტურას; ისიამოვნეს ქართული სტუმართმოყვარეობით, მშვენიერი ამინდითა და უგემრიელესი ხაჭაპურით! “

იხ. ბმული : https://mailchi.mp/eaft-aet/eaft-newsletter-95_september?e=[UNIQID]